გიორგი ნარიმანიშვილი
თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი
g.narimanishvili@freeuni.edu.ge

დავით ბერაძე
თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი
dbera18@freeuni.edu.ge

ინფორმაცია, ჯაშუშები და საიდუმლო XII საუკუნის არაბულ სამხედრო ტრაქტატში

რეზიუმე

უძველესი პერიოდიდან ინფორმაცია ერთ-ერთ ყველაზე ფასეულ პროდუქტს წარმოადგენდა. ისტორიის მანძილზე, დიდი თუ პატარა სახელმწიფოები, სხვადასხვა სახის ორგანიზაციები თუ ჯგუფები მათთვის სასიცოცხლო ინფორმაციის მოსაპოვებლად აწარმოებდნენ დაუნდობელ ბრძოლას. გახმაურებული სამხედრო ბატალიებისა და დიპლომატიური მოლაპარაკებების პარალელურად, მუდამ მიმდინარეობდა ფარული, კულუარული ომი, რომელსაც აწარმოებდნენ ფართო საზოგადოებისთვის უცნობი ადამიანები. აღნიშნული საქმიანობის საიდუმლოობის გათვალისწინებით, სახელმძღვანელოები აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით არც თუ ისე ხშირად იწერებოდა. თუმცა, ისტორიის მანძილზე შექმნილ სამხედრო-პოლიტიკური ხასიათის ნაშრომებში, გარკვეული ინფორმაცია მაინც ჩნდებოდა. ერთ-ერთ ასეთ მაგალითს წარმოადგენს XII საუკუნის მუსლიმი ავტორის, ალ-ჰარავის ნაშრომი „ალ-ჰარავის ტრაქტატი სამხედრო ხრიკების შესახებ“. საყურადღებოა, რომ ავტორი მოღვაწეობდა ცნობილი მუსლიმი სულთნისა და მხედართმთავრის, სალაჰ ად-დინ აიუბის ზეობის ხანაში და სავარაუდოდ მისთვის საიდუმლო მისიებსაც ასრულებდა. ალ-ჰარავის მოღვაწეობა დაემთხვა ისეთ მნიშვნელოვან მოვლენებს, როგორიცაა სალაჰ ად-დინის მიერ იერუსალიმის აღება და მესამე ჯვაროსნული ლაშქრობა. ბუნებრივია, რომ ასეთი გლობალური დაპირისპირების დროს, სადაზვერვო საქმიანობასა და ფარულ ბრძოლას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა. დაპირისპირებული მხარეები ყველა ხერხებით ცდილობდნენ მოწინააღმდეგესა და მის გეგმებზე მაქსიმალური ინფორმაციის მოპოვებას, ფარული კოალიციების ჩამოყალიბებასა და ადგილობრივი მოსახლეობის კეთილგანწყობისა თუ მორჩილების მოპოვებას, საკუთარი პოზიციების გამყარებისა სტრატეგიული უპირატესობის მოპოვების მიზნით.

საკუთარ ნაშრომში ალ-ჰარავი ძირითადად განიხილავს სამხედრო-პოლიტიკურ საკითხებს, თუმცა გარკვეულწილად ეხება სადაზვერვო საქმიანობის მნიშვნელობასაც. ავტორის მტკიცებით, ყოველი ხელისუფალი უნდა ფლობდეს კარგად ორგანიზებულ სადაზვერვო ქსელს, რომლის მეშვეობითაც მიიღებს როგორც მისთვის მნიშვნელოვან ინფორმაციას, ასევე მოახდენს გავლენებს მოსახლეობაზე. ასევე, ალ-ჰარავის თქმით, ხელისუფალი ყურადღებით უნდა მიუდგეს ნებისმიერი სახის ინფორმაციას, რათა არ გამორჩეს არც ერთი მნიშვნელოვანი საკითხი. ამასთან, ხელისუფალმა კარგად უნდა აწონ-დაწონოს და შეაჯეროს მიღებული ცნობები, ხოლო იმოქმედოს მხოლოდ ყველა მონაცემის ღრმა შესწავლისა და ანალიზი შემდეგ. გლობალური გეოპოლიტიკური დაპირისპირების პირობებში მოღვაწეობისა და საკუთარი საიდუმლო საქმიანობიდან მი-

ღებული გამოცდილებიდან გამომდინარე, ალ-ჰარავი გამოირჩევა საკითხის ღრმა ცოდნით, პრაგმატულობითა და რეალისტური მიდგომებით.

საკვანძო სიტყვები: ისტორია, ახლო აღმოსავლეთი, სამხედრო ტრაქტატი, დაზვერვა, ალ-ჰარავი.

1. შესავალი

შუა საუკუნეებში ინფორმაციის მოპოვების მეთოდები და წინმსწრები ინფორმაციის მნიშვნელობა

ნებისმიერ სფეროში, სწორი და დროული ინფორმაციის მოპოვებას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. განსაკურებით, კი მნიშვნელოვანია ინფორმაციის მოპოვება სახელმწიფოებრივ დონეზე, რაც სწორი საგარეო თუ საშინაო პოლიტიკის მართებულად წარმართვის ერთ-ერთ ქვაკუთხედად შეიძლება ჩაითვალოს. ხოლო, საბრძოლო მოქმედებებისას და საომარ ვითარებაში, მოწინააღმდეგის შესახებ წინმსწრებ და დადასტურებულ ცნობებს სასიცოცხლო მნიშვნელობა ენიჭება, რადგან დროული ინფორმირებულობა გამარჯვების ერთ-ერთი მთავარი საწინდარია. სწორედ, ამიტომ, უძველესი დროიდან იქმნებოდა და ვითარდებოდა სხვადასხვა სახის სადაზვერვო ინსტიტუტები, რომელებიც დაკავებულები იყვნენ ფასეული ინფორმაციის მოპოვებით ნებისმიერი გზით, მათ შორის როგორც კანონიერი, ასევე უკანონო. ისტორიის მანძილზე, ყველა პოლიტიკურ, ეკონომიკურ თუ სამხედრო ერთეულს საკუთარი სადაზვერვო სამსახური ჰყავდა, ხოლო დიდ იმპერიების შექმნილი ჰქონდათ მასშტაბური და კარგად ორგანიზებული სადაზვერვო ქსელები. გამონაკლისს არც შუა საუკუნეების იმპერიები და პოლიტიკური ერთეულები წარმოადგენდნენ, განსაკუთრებით კი ისეთი გლობალური მოვლენის დროს, როგორიც ჯვაროსნული ლაშქრობები იყო. ტრაქტატი, რომლის ნაწილებსაც წინამდებარე სტატიაში განვიხილავთ, სწორედ მესამე ჯვაროსნული ლაშქრობის პერიოდში დაიწერა. თუმცა, სანამ უშუალოდ ტექსტზე ვისაუბრებთ, აუცილებლად მიგვაჩნია აღნიშნული პერიოდისა და ავტორის ვინაობის მოკლე განხილვა.

2. ალ-ჰარავი

2.1. მოღვაწეობის პერიოდი

არსებული მონაცემებით, ალ-ჰარავიმ საკუთარი ნაშრომი, „ალ-ჰარავის ტრაქტატი სამხედრო ხრიკების შესახებ“ დაწერა მესამე ჯვაროსნული ლაშქრობის პერიოდში, როდესაც მუსლიმებმა იერუსალიმი დაიკავეს და ქრისტიანულმა სამყარომ წმინდა ქალაქის დასაბრუნებლად ახლო აღმოსავლეთში კვლავ გაილაშქრა. იერუსალიმის დაკარგვამ დიდი გამოხმაურება ჰპოვა ევროპელი მონარქებისა და დიდგვაროვნების რიგებში. ინგლისის მეფე რიჩარდ ლომგულმა, საფრანგეთის მეფე ფილიპემ და საღვთო რომის იმპერატორმა ფრიდრიხ I ბარბაროსამ უმალ გამოხატეს მზადყოფნა წმინდა მიწაზე გამგზავრებულიყვნენ და იერუსალიმი დაებრუნებინათ (Asbridge 2012, 388-389).

ამ დროს, წმინდა მიწაზე მცხოვრებ ჯვაროსანთა მთავარი ძალები სალაჰ ად-დინისგან თავის დასაცავად ემზადებოდნენ. განვითარებულმა მოვლენებმა ცხადყო, რომ სალაჰ ად-დინმა ტაქტიკური შეცდომა დაუშვა, როდესაც ქალაქი ტვიროსი არ აიღო. ეს სტრატეგიულად უმნიშვნელოვანესი საპორტო ქალაქი ჯვაროსანთა წინააღმდეგობის მთავარ საყრდენ პუნქტად და ევროპიდან მომარაგების ცენტრად იქცა. თავის მხრივ, სალაჰ ად-დინმა, გამოსასყიდის ან ტერიტორიების სანაცლოდ, დიდგვაროვანი ტყვეების გათავისუფლება დაიწყო. სულთანმა კარგად გათვალა საკუთარი პოლიტიკა, ერთის მხრივ, მან უბრძოლველად მიიღო ახალი ტერიტორიები, ხოლო მეორეს მხრივ, გააღვივა შუღლი ჯვაროსანთა რიგებში (ასტახიშვილი, ახმეტელი და ნარიმანიშვილი 2020, 306). 1191 წლის ზაფხულში, ქრისტიანთა ლაშქარი აკრასკენ გაემართა და ქალაქის მისადგომებთან დაბანაკდა, თუმცა ქალაქის აღება არ უც-

დიათ. ქრისტიანთა ბანაკს მალე სალაჰ ად-დინიც მიუახლოვდა და მხარეებს შორის მცირე შეტაკებები დაიწყო. 8 ივნისს, აკრასთან დაბანაკებულ ჯვაროსნებს ევროპიდან ჩასული რიჩარდ ლომგული შეუერთდა. ივნისის ბოლოს, სალაჰ ად-დინმა დამატებითი ძალები მიიღო ეგვიპტიდან და მოსულიდან. მიუხედავად ამისა, სულთანს მოწინააღმდეგეზე მასშტაბური იერიში არ მიუტანია, რადგან ევროპელებმა გაამაგრეს თავიანთი პოზიციები და ძლიერი თავდაცვითი ზღუდეები ააგეს. 3 ივლისიდან ჯვაროსნებმა აკრას შეუტიეს. მათ კედლის ნაწილი ააფეთქეს და 11 ივლისს ქალაქმა კაპიტულაცია გამოაცხადა (Painter 1969, 69). აკრას აღების შემდეგ, ჯვაროსნებმა და სულთანმა შემდეგ პირობებზე მოილაპარაკეს: სიცოცხლე შეუნარჩუნდებოდა ქალაქის ყველა მაცხოვრებელს, თავის მხრივ, სალაჰ ად დინი ჯვაროსნებს 200 000 ოქროს დინარს გადაუხდიდა და გაათავისუფლებდა 15 000 ქრისტიან ტყვეს და 100 დიდგვაროვანს, ასევე ქრისტიანებს მაცხოვრის ჯვარი დაუბრუნდებოდათ (Runciman 1995, 50).

შეთანხმების პირობების თანახმად, ქრისტიანი ტყვეების გათავისუფლება და თანხის გადახდა სამ ეტაპად უნდა წარმართულიყო. აღნიშნული პროცესის შეუფერხებლად განხორციელების მიზნით რიჩარდ ლომგულმა სალაჰ ად-დინთან ელჩობა გაგზავნა. 11 აგვისტოს სალაჰ ად-დინმა რიჩარდს თანხის პირველი ნაწილი და ტყვეები გაუგზავნა, თუმცა დიდგვაროვანთა ნაწილი მძევლებად დაიტოვა. რიჩარდმა ეს შეთახმების დარღვევად გამოაცხადა და აკრაში დატყვევებული ქალაქის 2 700 დამცველისა და მათი ცოლ-შვილის სიკვდილით დასჯა ბრძანა. ცოცხლად დატოვეს მხოლოდ რამდენიმე ფიზიკურად ძლიერი პიროვნება, რომლებიც მონებად აქციეს (Runciman 1995, 53).

22 აგვისტოს რიჩარდმა ჯვაროსანთა ლაშქართან ერთად აკრადან სამხრეთისკენ გაეშურა, ხოლო სალაჰ ად-დინი მის პარალელურად გადაადგილდებოდა. ბრძოლა მოწინააღმდეგეთა შორის 7 სექტემბერს, არსუფის ჩრდილოეთით მდებარე ვაკეზე გაიმართა, რომელშიც ჯვაროსნებმა დამაჯერებლად გაიმარჯვეს. მიუხედავად იმისა, რომ მხარეებს შედარებით მცირე დანაკარგები ჰქონდათ, ბრძოლის შედეგს დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა, ისლამის გამორჩეული დამცველი, სალაჰ ად-დინი, დამარცხდა, ხოლო ჯვაროსნებმა ჰატინის ბრძოლის შემდეგ პირველი გამარჯვება მოიპოვეს (Asbridge 2012, 473), რამაც მათი სულისკვეთება აამაღლა. თავის მხრივ ჯვაროსნებთან მარცხმა სულთნის ავტორიტეტი შეარყია და მუსლიმთა ბანაკში უკმაყოფილებამ იჩინა თავი. ბრძოლის შემდეგ, სალაჰ ად-დინმა ქალაქ რამლაში დაიხია, ხოლო რიჩარდი ქალაქ იაფოში ჩავიდა, რადგან მას მომარაგებისთვის პორტი სჭირდებოდა. იაფოში გამაგრების შემდეგ, ჯვაროსანთა ლაშქარმა ასკალონიც დაიკავა, რათა აღეკვეთა ეგვიპტიდან მუსლიმთა დამატებითი ძალების გადმოსროლა. მხოლოდ ამის შემდეგ, რიჩარდმა ქალაქ ლოდში დაბანაკებულ სალაჰ ად-დინის ძმასთან, ალ-ადილთან მოსალაპარაკებლად ელჩი გაგზავნა. ინგლისის მეფემ მუსლიმებს შემდეგი პირობები შესთავაზა: ალ-ადილს სალაჰ ად-დინისგან სამართავად მთელი პალესტინა უნდა მიეღო და ცოლად შეერთო რიჩარდის და ჯოანა. ალ-ადილსა და ჯოანას იერუსალიმიდან ერთობლივად უნდა ემართათ წმინდა მიწა, ხოლო ქრისტიანებს იერუსალიმში შესვლის უფლება უნდა ჰქონოდათ. ასევე, ორივე მხრიდან ყველა ტყვე უნდა გათავისუფლებულიყო და ტამპლიერებსა და ჰოსპიტალიერებს მთელი ქონება უნდა დაბრუნებოდათ. გარდა ამისა, რიჩარდმა ალ-ადილს ქრისტიანობის მიღებაც შესთავაზა. ალ-ადილმა ამ პირობებზე უარი განაცხადა, მაგრამ ინგლისის მეფე ლოდში მიიწვია. შეხვედრა 8 ნოემბერს მეგობრულ გარემოში შედგა და მხარეებმა ძვირფასი საჩუქრები გაცვალეს. სწორედ ამ დროს სალაჰ ად-დინთან იმყოფებოდა ტვიროსის მმართველის, კონრად დე მონფერატის ელჩი, რომელმაც სულთანს თავისი სუზერენის შემდეგი შეთავაზება გააცნო: სიდონისა და ბეირუთის დაბრუნების შემთხვევაში, კონრადი შეწყვეტდა ჯვაროსანთა მხარდაჭერას და მუსლიმებს აკრას გადასცემდა, თუმცა რიჩარდის წინააღმდეგ ძალით არ იმოქმედებდა. მომდევნო დღეს სულთანთან რიჩარდის ელჩიც ჩავიდა, რომელმაც მას ინგლისის მეფის მიერ ალ-ადილისთვის შეთავაზებული პირობები გააცნო. სალაჰ ად-დინი საკამაო ხანს აფერხებდა საბოლოო გადაწყვეტილების მიღებას, ხოლო

ზამთრის დადგომისთანავე იერუსალიმში დაბრუნდა. ამ დროს რიჩარდი წმინდა ქალაქის მიმართულებით გაემართა და 1192 წლის 3 იანვარს ციხესიმაგრე ბეით-ნუბაში გამაგრდა, რომელიც იერუსალიმიდან დაახლოებით 20 კილომეტრში მდებარეობს. სიცივისა და წვიმიანი ამინდის მიუხედავად, ევროპელი რაინდები იერუსალიმზე შეტევის მზადყოფნას გამოთქვამდნენ. თუმცა, მათ წინააღმდეგობა გაუწიეს ადგილობრივმა დიდებულებმა, ვინც კარგად იცნობდა გარემოს. ისინი ინგლისის მეფეს იერიშისგან თავის შეკავებას ურჩევდნენ, რადგან, არსებული ვითარებიდან გამომდინარე, ქალაქის აღების შემთხვევაში, ჯვაროსნები მას დიდი ხნით ვერ შეინარჩუნებდნენ. ინგლისის მეფე 5 დღის მანძილზე აკვირდებოდა არსებულ ვითარებას და საბოლოოდ, უკან დახევის ბრძანება გასცა.

რიჩარდი ასკალონში დაბრუნდა და სალაჰ ად-დინთან მორიგი ელჩობა გაგზავნა. როდესაც ინგლისის მეფის ელჩი იერუსალიმში ჩავიდა, იქ მას კონრადის მიერ გაგზავნილი ელჩები დახვდნენ. ამ გარემოებამ ძალზე შეაშფოთა რიჩარდი, თუმცა სალაჰ ად-დინი კვლავ ორმაგ თამაშს თამაშობდა. 20 მარტს რიჩარდს ალ-ადილი ეწვია და მეფეს შემდეგი სამშვიდობო პირობები შესთავაზა: ჯვაროსნები ინარჩუნებდნენ დაპყრობილ მიწებს და მათ იერუსალიმის მოლოცვის უფლება ეძლეოდათ. გარდა ამისა, მათ დაუბრუნდებოდათ მაცხოვრის ჯვარი. ეს პირობები ორივე მხარისთვის მისაღები აღმოჩნდა და სამშვიდობო შეთანხმებაც შედგა და ინგლისის მეფემ დატოვა წმინდა მიწა (Runciman 1995, 57-63).

2.2. მოკლე ბიოგრაფია

ალ-ჰარავის შესახებ ცნობილი არაბი ისტორიკოსი და ბიოგრაფიული ლექსიკონის ავტორი, იბნ ხალიქანი წერს:

> აბუ ალ-ჰასან ალი ბ. აბუ ბაქრ ბ. ალი, წარმოშობით ჰერათიდან, დაბადებული მოსულში, ცნობილი მოგზაური, მცხოვრები ალეპოში. მან მოიარა აურაცხელი ქვეყანა და თითქმის ორჯერ შემოუარა დედამიწას. მას არ დაუტოვებია არც ხმელეთი, არც ზღვა, არც ვაკე და არც მთა, იმ მიწებიდან, რომლის მონახულებაცაა შესაძლებელი. ყველა ადგილას სადაც ჩავიდა, კედელზე მინაწერი გააკეთა და მე ეს ვიხილე იმ მრავალ ქვეყანაში, რომელსაც ვეწვიე (Ibn Khallikān n.d., 346)[1].

ერთ-ერთ საკუთარ ნაშრომში „პილიგრიმობის ადგილების გზამკვლევი“ ალ-ჰარავი გვიამბობს მისი მოგზაურობების შესახებ სხვადასხვა ქვეყნებში, მათ შორის ეგვიპტეში, პალესტინაში, მაღრიბში, სიცილიაზე, კვიპროსზე, ბიზანტიის იმპერიასა და ერაყში, სადაც ხვდებოდა ადგილობრივ მმართველებსა და სხვა მნიშვნელოვან პირებს (Al-Harawiyyi 2002). ნაშრომის შესწავლის შედეგად, ფრანგი მკვლევარი ჟანინ სურდელ-თომინი ვარაუდობს, რომ ალ-ჰარავიმ იმოგზაურა სულთან სალაჰ ად-დინის მმართველობის დროს, 1173-1189 წწ. პერიოდში. ამასთან, ეგვიპტის სულთანს რამდენიმე ლაშქრობაშიც ახლდა (Sourdel-Thomine 1986, 178).

ჟანინ სურდელ-თომინი ვარაუდობს, რომ რიგი მმართველების დავალებით, ალ-ჰარავი მსტოვრის მოვალეობასაც ასრულებდა. კერძოდ, სალაჰ ად-დინი და სხვა მუსლიმი მმართველები ალ-ჰარავის მტრის კარზე სადაზვერვო ინფორმაციის შესაგროვებლად აგზავნიდნენ, თავად ალ-ჰარავი კი მოგზაურის საფარით მოქმედებდა (Sourdel-Thomine 1961, 207).

ჟანინ სურდელ-თომინი ასევე ვარაუდობს, რომ ალ-ჰარავი ჩრდილოეთ სირიის აიუბიან სულთნებსა და მათ გადაწყვეტილებებზე რეალურ გავლენას ახდენდა. ხოლო, ნაშრომი სწორედ სიცოცხლის ბოლო წლებში დაწერა, როდესაც მისი გავლენა აიუბიანთა კარზე ზენიტში იმყოფებოდა (Sourdel-Thomine 1961, 206). შესაბამისად, ალ-ჰარავის თავისუფლად შეეძლო

[1] თარგმანში გაწეული დახმარებისთვის მადლობას ვუხდით აბდ ალ-ჯაბბარ შეიხ ალის.

აიუბიანთა სულთნისთვის სამხედრო-პოლიტიკური რეკომენდაციები მიეცა. მისი ნაშრომი, „ალ-ჰარავის ტრაქტატი სამხედრო ხრიკების შესახებ“ სწორედ აღნიშნულის მტკიცებულებაა.

აიუბიანთა დინასტიის კარზე ალ-ჰარავის ძლიერი გავლენების შესახებ მოსაზრებას კიდევ ერთი გარემოება ადასტურებს. იბნ ხალიქანის მტკიცებით, სალაჰ ად-დინის მესამე ვაჟმა და აიუბიანთა დინასტიის ალეპოს ამირამ, ალ-მალიქ აზ-ზაჰირ ღაზიმ, ალეპოს ჭიშკართან ალ-ჰარავის სახელზე მედრესე ააშენა (Ibn Khallikān n.d., 347). მმართველის მხრიდან მსგავსი ქმედების განხორციელება ალ-ჰარავის მიმართ პატივისცემასა და მისი ფიგურის მნიშვნელობაზე უნდა მიუთითებდეს (Sourdel-Thomine 1986, 178).

3. ნაშრომი და შესაბამისი ნაწილები

3.1. ინფორმაცია ნაშრომის შესახებ

„ალ-ჰარავის ტრაქტატი სამხედრო ხრიკების შესახებ“ შექმნის თარიღზე ზუსტი ინფორმაცია არ მოიპოვება, თუმცა სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით ნაშრომი უნდა დაწერილიყო 1192-1215 წლებს შორის (Sourdel-Thomine 1961, 206).

ტრაქტატი შინაარსით და ისტორიული კონტექსტით სულთნის მიმართ შემუშავებული რჩევების სერიაა, რომელიც შედგება 24 კარისგან და ფორმით დიდაქტიკური ეპისტოლეს ხასიათს ატარებს. სწორედ ამ მიზეზით ნაშრომი მოკლედ არის დაწერილი, თუმცა აქვს ამბიციური მიზანი მიუთითოს იმ პრობლემების გადაჭრის გზებზე, რომელიც ნებისმიერი ლიდერის წინაშე შეიძლება აღმოჩნდეს (Sourdel-Thomine 1961, 205). ჟანინ სურდელ-თომინის მოსაზრებით, „ალ-ჰარავის ტრაქტატი“ სალაჰ ად-დინის მესამე ვაჟისთვის, აზ-ზაჰირ ღაზისთვის უნდა დაეწერა (Sourdel-Thomine 1961, 206).

საყურადღებოა, რომ ნაშრომი ძირითადად სამხედრო საქმეს ეხება. ალ-ჰარავი განიხილავს ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს როგორიცაა გადაადგილება, ლოჯისტიკა, ოპერაციების დაგეგმვა, სამხედრო წვრთნები, ალყის გამართვა და ალყისგან თავდაცვა და სხვა ტაქტიკური საკითხები. ამასთან, ალ-ჰარავი მსჯელობს ისეთ მნიშვნელოვან პოლიტიკურ ასპექტებზე როგორიცაა: მმართველის ადმინისტრაცია, დიპლომატიური მისიები, სადაზვერვო საქმიანობა და სხვ. (Hamblin 1992, 230).

ესპანელი მკვლევარი ოლგა ტორეს დიასი აღნიშნავს, რომ ალ-ჰარავის პოლიტიკური რეკომენდაციების ფუნდამენტური პრინციპები ემყარება თითქმის პათოლოგიურ უნდობლობას, ყველა საკითხის პიროვნულ და ზედმიწევნით კონტროლს, ქვეშევრდომებში გაურკვევლობისა და ამავდროულად პატივისცემის გრძნობების ჩანერგვას, ამასთან ადამიანებისა და სხვადასხვა საკითხების ზედმიწევნით გამოკვლევას პრაქტიკული ნაბიჯების გადადგმამდე (Díaz 2014, 9).

თავის მხრივ, ჟანინ სურდელ-თომინი ხაზს უსვამს, რომ ტრაქტატში ნათლად ვლინდება ალ-ჰარავის ფუნდამენტური თვისებები, დაკვირვების გემოვნება და ზოგჯერ, კრიტიკული რეფლექსიის სურვილიც. გარდა ამისა, ნათლად ჩანს ალ-ჰარავის პატივისცემა ადამიანის ისეთი თვისებების მიმართ, როგორებიცაა: სიამაყე, გამბედაობა, გამჭრიახობა, წინდახედულობა და განსაცდელის დროს შეუპოვრობა (Sourdel-Thomine 1961, 206).

საინტერესოა, რომ ნაშრომში ვერ ვხედავთ პოლიტიკისა თუ ომის წარმოების რელიგიურ კონტექსტს. მეტიც, ტრაქტატში რელიგიური ასპექტები სრულად იგნორირებულია, რაც მას მეტ პრაქტიკულობას სძენს (Díaz 2014, 8, 22).

3.2. დაზვერვა და ინფორმაციის მნიშვნელობა ნაშრომში

კარი მეთორმეტე

მსტოვრებისა და ინფორმაციის მატარებლების შესახებ

სულთანს უნდა ჰყავდეს ერთგული, ღვთისმოსავი და სანდო მსტოვრები, რომლებიც კმაყოფილები არიან მისგან წამოსული ჯილდოებითა და წყალობით, არ ფიქრობდნენ თანამდებობისა და შემოსავლების ძიებაზე. უნდა აგზავნიდეს მათ როგორც საკუთარ მოსახლეობაში აღმოსავლეთით და დასავლეთით, ასევე სამეზობლო მიწებზე, რათა მიაწოდონ მას (სულთანს) ამბები ყველა მხარიდან და არ დარჩეს მისთვის დაფარული მოვლენები თუ საუბრები, დაუმატოს იმ ინფორმაციას რაც მოაქვთ მასთან მოგზაურებსა და ვაჭრებს, რათა არ დაუშვას შეცდომები და არ შეირყეს მისი ძალაუფლება, უნდა გამოკითხოს მოსული და წამსვლელი, ბედუინი თუ ქალაქელი, დაფაროს საკუთარი გადაწყვეტილებები, მოიპოვოს და დამალოს ინფორმაცია ერთდროულად. დაზვერვის საშუალებით უნდა მოიპოვოს ხალხის პატივისცემა, მათ უნდა ეშინოდეთ მისი ძალის, უფრთხოდნენ მის რისხვას და ვერ ხვდებოდნენ მის ფანდებს (Al-Harawiyyi n.d., 15).

კარი მეთხუთმეტე

საიდუმლოს დაფარვის შესახებ

სულთანმა საკუთარი გადაწყვეტილებები უნდა დაფაროს, არ ისაუბროს მათზე, სააშკარაოზე არ გამოიტანოს და მხოლოდ ქმედებებში ასახოს, რადგან შესაძლებელია მათ შესახებ მტერს ეცნობა და ის გაფრთხილებულია; მან არ უნდა გამოაჩინოს საკუთარი განზრახვები საუბარში; ნამდვილად ჭკვიანი ადამიანი ეყრდნობა მხოლოდ ქმედებას, ხოლო ბეცი სიტყვებს, მართალი იყო ბრძენი მის სიტყვებში: „ჭკვიანი ადამიანის ენა მის გულშია, ხოლო ბეცის გული მის ბაგეებშია“. მან ეჭვის თვალით არ უნდა შეხედოს ყველა ინფორმაციას - ხოლო თუკი არ ენდობა კონკრეტულ ცნობას, მაინც უნდა მოისმინოს ყველაფერი რასაც მას უამბობენ და პასუხიც გასცეს, თუმცა არ იმოქმედოს, მანამ, სანამ არ მოიკვლევს მის სანდოობას[2] (Al-Harawiyyi n.d., 18).

4. დასკვნა

ალ-ჰარავი ძალიან პრაგმატული პიროვნება ჩანს, ის მოკლედ და ლაკონურად საუბრობს სადაზვერვო ინფორმაციის მოპოვების ხერხებზე და მიღებული ცნობების ღრმა ანალიზის აუცილებლობაზე. ალ-ჰარავის ტრაქტატიდან მოტანილ ამონარიდებში ნათლად იკვეთება სადაზვერვო სამსახურების უმთავრესი მოვალეობები: დაზვერვა, კონტრდაზვერვა და საინფორმაციო-ფსიქოლოგიური ოპერაციების წარმოება. კერძოდ, ავტორი საუბრობს ინფორმაციის მოპოვების დივერსიფიკაციაზე, სადაზვერვო მონაცემების შეჯერება-ანალიზზე, საკუთარი გეგმების დაფარვის აუცილებლობასა და მოსახლეობაში საჭირო განწყობების შექმნაზე. ალ-ჰარავი განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს უსაფრთხოების ზომებსა და ინფორმაციის გაჟონვის საფრთხეებზე, რაც ო. დიასის მიერ აღქმულ იქნა როგორც პარანოიასთან მიახლოებული შეხედულებები. თუმცა, ავტორის მოღვაწეობის პერიოდიდან გამომდინარე, ალ-ჰარავის პრაგმატულობა და მიდგომები არ არის გასაკვირი. ალ-ჰარავი ოპერირებდა გლობალური გეოპოლიტიკური დაპირისპირების პერიოდში, როდესაც ისლამური და ქრისტიანული სამყაროების დაპირისპირებამ მორიგ პიკს მიაღწია. შექმნილ ვითარებაში კულტურულმა

[2] თარგმანში გაწეული დახმარებისთვის მადლობას ვუხდით აბდ ალ-ჯაბბარ შეიხ ალის, თამარ ცინცაძეს და ელენე სვიანაძეს.

ბრძოლამ განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა, დაპირისპირებული მხარეები ყველა ხერხს მიმართავდნენ სტრატეგიული უპირატესობის მოსაპოვებლად. სწორედ ამგვარი პროცესების პირობებში, სასიცოცხლო მნიშვნელობას იძენს სადაზვერვო სამსახურების ეფექტიანობა, როდესაც სწორედ მსტოვრებისა და ფარული დიპლომატების წარმატებული მოღვაწეობის შედეგად ხორციელდება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ინფორმაციის მოპოვება, მოწინააღმდეგის შეცდომაში შეყვანა, საიდუმლო ალიანსების ჩამოყალიბება და წარმატებული საინფორმაციო-ფსიქოლოგიური აქტივობები ადგილობრივი მოსახლეობის მხარდაჭერის უზრუნველსაყოფად, რაც საბოლოო ჯამში სტრატეგიული გამარჯვების მოპოვების ერთ-ერთ უმთავრეს ბერკეტად იქცევა.

გამოყენებული ლიტერატურა:

ასტახიშვილი, ე., ნ. ახმეტელი, გ. ნარიმანიშვილი. 2020. *ქართველები და გარესამყარო: XI-XV საუკუნეები.* თბილისი: შემოქმედი ანგელოზი.

Asbridge, T. 2012. *The Crusades: The War for the Holy Land*. London: Simon and Schuster UK Ltd.

Díaz, O. T. 2014. "*Al-Taḏkira al-Harawiyya: Un Espejo De Príncipes Singular*." Facultad de Filología, Grado en Estudios Árabes e Islámicos, Trabajo de Fin de Grado, Curso 2013/2014, Tutor: Rafael Valencia Rodríguez, Universidad de Sevilla.

Hamblin, W. J. 1992. "Saladin and Muslim Military Theory." In *The Horns of Hattin,* edited by B. Z. Kedar, 228-238. London: Variorum and Jerusalem: Yad Izhak Ben-Zvi and Israel Exploration Society.

Al-Harawiyyi. n.d. *Kitāb at-taḏkira al-Harawiyya fi l-ḥiyali l-ḥarbiyya*. al-Qāhira: maktaba aṯ-ṯaqāfa ad-dīniyya. Accessed March 17, 2024. https://archive.org/details/Pdf0977 (არაბულ ენაზე).

Al-Harawiyyi. 2002. *Al-ishārāt ila ma'rifati z-ziyārāt*. al-Qāhira: maktaba aṯ-ṯaqāfa ad-dīniyya (არაბულ ენაზე).

Ibn Khallikān. n.d. *Wafayāt al-a'yan wa anba' abna' az-zamān*. ḥaqqahu ad-duktūr Iḥsān 'Abbās, al-muǧallad aṯ-ṯāliṯ. Bayrūt: dār ṣādir. Accessed March 17, 2024. https://ia902805.us.archive.org/33/items/WAQ17074/03_17077.pdf (არაბულ ენაზე).

Painter, S. 1969. "The Third Crusade: Richard the Lionhearted and Phillip Augustus." In *A History of the Crusades*, vol. II, edited by R. L. Wolf and H. W. Hazard, 45-86. Madison, Milwaukee and London: The University of Wisconsin Press.

Runciman, S. 1995. *A History of the Crusades*. Vol. III. Cambridge University Press.

Sourdel-Thomine, J. 1961. "Les Conseils du Šayh Al-Harawi a un Prince Ayyubide." In *Bulletin d'études orientales* 17 (1961-1962): 205-268.

Sourdel-Thomine, J. 1986. "Al-Harawī al-Mawṣilī." In *The Encyclopedia of Islam*, New Edition Prepared by a Number of Leading Orientalists, edited by B. Lewis, V. L. Menage, Ch. Pellat and J. Schacht, vol. III, 178. Leiden: Brill and London: Lizac and Co.

დანართი

تذكره الهروية لحيل الحربية

باب الثاني عشر

في حال الجواسيس وأصحاب الأخبار

و يجب على السلطان أن يكون له جواسيس قد عرف منهم الثقة و الدين و الأمانة مقتنعين مما يفيض عليهم من إنعامه و يصل إليهم من إحسانه و لا يحدّثون أنفسهم بطلب المناصب و حرص المكاسب فينشرهم في بلاد و يرسلهم على العباد شرقا و غربا و قربا ليطالعوه بالأخبار من جميع الأمصار لئلا ينكتم عنه حال و لا يطوي عنه مقال و ليضمّ إلى ما يوردونه عليه و يرسلونه إليه التماس الأخبار من المسافرين و التجار و ذلك لئلا يتمّ عليه زلل و لا يداخل الملك خلل و يسأل من الوارد و الصادر و البادي و الحاضر و ليكمّ أمره و يتجسس و يخف نفسه و يتجسس ليشمل الناس هيبته و يخافوا سطو ته و يحذروا شره و لا يأمنوا مكره.

الباب الخامس عشر

في كتمان السر

و يجب على السلطان أن يستعين على أموره بالكتمان و إذا عزم على أمره فلا يذكره و لا يكشفه و يظهر إلا فعلا فربما نُقل عنه إلى عدوّه فأخذ حذره و إياه أن يظهر ما في نفسه قولا فإن العاقل يعتمد على فعله و الجاهل على قوله و لقد صدق الحكيم في قوله "لسان العاقل في قلبه و قلب الجاهل في فيه" و إياه أن يكذّب خبرا و إن لا يصدّق أثرا فإنه يجب على السلطان أن يسمع جميع ما يُنقل إليه و يرد عليه بل لا يعمل به إلا بعد الكشف عن صحّته و البحث عن حقيقته.